

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად შერჩევის ჩატარების წესი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება იმ შემთხვევაში თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ აპლიკანტთა რაოდენობა ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ აღემატება გამოცხადებული ადგილების რაოდენობას, აპლიკანტების ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.
2. შერჩევის წესი ეფუძნება სამართლიანობის და გამჭვირვალობის პრინციპს;
3. შერჩევა ტარდება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვადაში და შერჩევის თარიღი, დრო და ადგილი ეცნობება სსიპ – განათლების მართვის სისტემას რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.
4. შერჩევის ჩატარების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უფლებამოსილია წარმართოს პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის პროცესი და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ;
5. კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:
 - ა) კოლეჯის თანამშრომელ(ებ)ი.
 - ბ) დამსაქმებელი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენელი/წარმომადგენლები/დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები;
 - გ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი/წარმომადგენლები
6. კომისიის თავჯდომარეს ირჩევენ კომისიის წევრები;
7. კომისია უფლებამოსილია, თუ შერჩევას ესწრება კომისიის შემადგენლობაში შემავალი არანაკლებ სამი წევრი მაინც;
8. კომისიის წევრები უშუალოდ ესწრებიან შერჩევას, სვამენ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს, აფასებენ აპლიკანტის პასუხებს.
9. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი შერჩევის ჩატარებამდე, რომლის საფუძველზე ჩატარდება გასაუბრება (ვერბალური კომუნიკაციის უნარი, თვითპრეზენტაცია, წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი ავთენტურობის შემოწმება).
10. შერჩევის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია შედეგების გამოცხადების მომდევნო დღეს კოლეჯისთვის წერილობით მიმართვის ფორმით სააპელაციო კომისიასთან, რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით;
11. კოლეჯი შერჩევის შედეგებს, არაუგვიანეს პროფესიული ტესტირების თარიღიდან 2 დღისა, ასახავს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ პროგრამაში.